საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-11/93

ქ. ბათუმი 15 ნოემბერი, 2017 წ.

ბსუ-ს ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საქართველოს შრომის კოდექსის", „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მღების წესის დამტკიცების" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N5 გადაწყვეტილების საფუძველზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 11 ოქტომბრის N01-11/70 ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებისა და საპროცედურო კომისიის ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 11 ოქტომბრის N01-11/70 ბრძანებით გამოცხადებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ჯემალ ანანიძე** - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) მერაბ დიასამიძე - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ჟანა ჯიბლაძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი (კომისიის მდივანი);

დ) ზურა კვირკვაია - ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტზე მოწვეული მასწავლებელი;

ე) მამუკა ბერძენიშვილი - ა(ა)იპ - ტურიზმის ინსტიტუტის გენერალური დირექტორი;

ვ) ნათია კაპანაძე - სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" დირექტორი;

ზ) ეთერ თურაძე - ჟურნალი „ბათუმელების" მთავარი რედაქტორი.

2. საკონკურსო კომისიას დაევალოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 11 ოქტომბრის N01-11/70 ბრძანებით დადგენილი ვადების შესაბამისად „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებისა და წინამდებარე ბრძანების მთხოვნების შესრულება.

3. საკონკურსო კომისიის სხდომაზე, კანდიდატთა გასაუბრებაზე დასწრებისა და მონაწილეობისათვის, მოწვეული იქნეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები (სამსახურის/განყოფილების უფროსები): ნინო დოლიძე, რევაზ ოკუჯავა, ლაშა მიქელაძე და ზვიად ბერაძე.

4. კონკურსანტთა კომპიუტერული უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით საკონკურსო კომისიის სხდომაზე მოწვეული იქნეს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ზვიად ბარაძე.

5. წინამდებარე ბრძანების აღსრულებისას ბსუ-ს პერსონალისა და საკონკურსო კომისიის წევრების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დაცვა.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის პერსონალს და კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე